

## ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ

### **მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1 ბანკი და კომპანია მომხმარებლ(ებ)ს უწევენ მომსახურებას, რაც ითვალისწინებს კომპანიის მიერ მომხმარებლ(ებ)ისთვის ინფორმაციის მიწოდებას საბანკო კრედიტით (განვადებით) კომპანიის ნივთის/მომსახურების შეძენის შესაძლებლობის შესახებ, ხოლო ბანკის მიერ - მომხმარებლ(ებ)ის დაკრედიტებას ბანკის მიერ დადგენილი დაკრედიტების სტანდარტული და/ან სპეციალური (კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული) პოლიტიკის შესაბამისად. ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება (ნივთის/მომსახურების განვადებით შეძენის შესაძლებლობა), მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განხორციელდეს ასევე მომხმარებლ(ებ)ის მიერ კომპანიის ნივთის/მომსახურების „ონლაინ“ (დისტანციურად) შეძენისას (ასეთის არსებობისას), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად.
- 1.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, ტერმინი მომხმარებელი გულისხმობს საბანკო კრედიტით (განვადებით) კომპანიის ნივთის/მომსახურების შეძენის მსურველს და/ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკურ პირს.
- 1.3 ამ ხელშეკრულებასთან მიერთების მიზნით, კომპანია ბანკს მიმართავს შესაბამისი განაცხადით (შემდგომ „განაცხადი“), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რომელზე ხელმოწერით / რომლის დადასტურებით კომპანია იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ.

### **მუხლი 2. კრედიტის გაცემის პროცედურა**

- 2.1 ნივთის/მომსახურების რეალიზაციაზე შეთანხმებიდან მის მიწოდებამდე, კომპანია მომხმარებელზე გასცემს ინვოისს (ანგარიშ-ფაქტურას), რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კომპანიის უფლებამოსილი პირის (ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს კომპანიის სახელით და/ან მონაწილეობს ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაში) ხელმოწერით, სადაც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული - ნივთის/მომსახურების ძირითადი მახასიათებლები (ნივთის შემთხვევაში - მწარმოებელი, მოდელი, დამატებითი აქსესუარების ჩამონათვალი, ხოლო მომსახურების შემთხვევაში - მომსახურების ტიპი და სხვა დეტალური მახასიათებლები), მისი ღირებულება ეროვნული ვალუტით და ნივთის/მომსახურების ღირებულება ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენის შემთხვევაში და ღირებულება საბანკო კრედიტით (განვადებით) შეძენის შემთხვევაში (თუ ამ ორ ღირებულებას შორის არსებობს სხვაობა).
- 2.2 მომხმარებელი, ბანკის მიერ მოთხოვნილ სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, ბანკის წარმომადგენელს წარუდგენს კომპანიის მიერ გაცემულ ინვოისს.
- 2.3 ამ მუხლის 2.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა, ბანკი განიხილავს მომხმარებელზე საბანკო კრედიტის გაცემის საკითხს და მისი დადებითად გადაწყვეტისთანავე, მომხმარებელზე გასცემს კომპანიაში წარსადგენ მიმართვას ნივთის/მომსახურების მიწოდების შესახებ.
- 2.4 კომპანია ნივთს/მომსახურებას მომხმარებელზე გასცემს ბანკის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერილი მიმართვის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.
- 2.5 თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, ნივთის/მომსახურების მიწოდების შესახებ მიმართვის გაცემიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, ბანკი კომპანიის ანგარიშზე (რომელიც მოცემულია განაცხადში) გადარიცხავს ნივთის/მომსახურების ინვოისში (ანგარიშ-ფაქტურაში) მითითებულ მთლიან თანხას ან პროფორმა ინვოისში მითითებულ თანხასა და მომხმარებლის მიერ გადახდილ პირველად შენატანს (შემდგომ „თანამონაწილეობა“) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის სხვაობას.
- 2.6 კომპანიისთვის ცნობილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული საბანკო კრედიტით (სესხით) ბანკი დააფინანსებს მომხმარებლის მიერ კომპანიისგან ნივთის/მომსახურების შეძენას, მომხმარებელი არ არის უფლებამოსილი უარი განაცხადოს ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე იმისდა მიუხედავად, მიეწოდა თუ არა მომხმარებელს კომპანიის მხრიდან საბანკო კრედიტით შესაძენი ნივთი/მომსახურება. შესაბამისად, კომპანია აღიარებს და აცნობიერებს, რომ ბანკსა და მომხმარებელს შორის

დადებული/დასადები საბანკო კრედიტის ხელშეკრულება არ წარმოადგენს მომხმარებელსა და კომპანიას შორის დადებულ და/ან მომავალში დასადებ რომელიმე გარიგებასთან ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას. ამავდროულად, კომპანია ადასტურებს, რომ საბანკო კრედიტის თანხით შესაძენი ნივთის მომხმარებლისთვის მიწოდების / მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის ვალდებულება და ამ ვალდებულების შეუსრულებლობით / არაჯეროვნად შესრულებით წარმოშობილ ზიანზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება კომპანიას.

- 2.7 ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხარეები აცხადებენ, რომ ბანკის მიერ მომხმარებლისთვის განვადების დამტკიცების თაობაზე კომპანიისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისა და ნივთის/მომსახურების საფასურის სს „თიბისი ბანკში“ კომპანიის არსებულ ანგარიშზე გადარიცხვის შემთხვევაში, კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ შერჩეული ნივთის/მომსახურების რეალიზებას (მომხმარებლისთვის საკუთრებაში გადაცემას). ამასთან, მხარეები აზუსტებენ, რომ მომხმარებლის სასარგებლოდ ბანკის მიერ განვადების გაცემა (მომხმარებლის დაკრედიტება), არ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას.
- 2.8 ამ მუხლის 2.4 და/ან 2.9.3 ქვეპუნქტ(ებ)ით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ და/ან ნებისმიერი მიზეზით მომხმარებლის მიერ ნივთის/მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში, კომპანიის შესაბამისი ინფორმაციის (დადასტურების) საფუძველზე, ბანკი უზრუნველყოფს სს „თიბისი ბანკში“ კომპანიის არსებული ანგარიშებიდან განვადების (სესხის) თანხის უაქცეპტო ჩამოწერას. ამასთან, კომპანია აცნობიერებს და ეთანხმება, რომ თანხის ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობის შემთხვევაში, მისი ბანკისათვის დაბრუნების ვალდებულება სრულად ეკისრება კომპანიას და აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ასევე მოსთხოვოს კომპანიას, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია ბანკს გადაუხადოს ჯარიმა/პირგასამტეხლო ნივთის/მომსახურების სრული ღირებულების ოდენობით.
- 2.9 განვადებით „ონლაინ“ სარგებლობის სპეციალური დებულებები:
- 2.9.1 კომპანიის ვებგვერდზე მომხმარებლის მიერ ნივთის/მომსახურების შერჩევისა და მისი შეძენის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში, მომხმარებელს მიეცემა ნივთის/მომსახურების ბანკის „ონლაინ“ განვადებით შეძენის შესაძლებლობა;
- 2.9.2 მომხმარებლის მიერ კომპანიის ნივთის/მომსახურების ბანკის „ონლაინ“ განვადებით შეძენის სურვილის დაფიქსირების და ბანკის „ონლაინ“ განვადებით სარგებლობისათვის ბანკის მიერ ცალმხრივად განსაზღვრული/დადგენილი რიგი ქმედებების (მოთხოვნების) სრულფასოვნად და სრულყოფილად განხორციელების შემდგომ, მომხმარებლის განაცხადი გადაიგზავნება ბანკში განსახილველად;
- 2.9.3 ბანკის მიერ კომპანიისთვის მომხმარებლის სასარგებლოდ თანხის გადარიცხვის შემდგომ, ბანკი განაცხადით განსაზღვრულ კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე კომპანიას უგზავნის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიმართვის ფორმას ან შესაბამისი კოდით აღჭურვილ შეტყობინების ფაილს (შეტყობინების ფაილში მიეთითება ფაილის კომპანიისთვის გაგზავნის წინა დღის მდგომარეობით გაცემული განვადების შესახებ ინფორმაცია). კომპანია ვალდებულია ხსენებული მიმართვის ფორმის ან შეტყობინების ფაილის ბანკის მიერ კომპანიისთვის გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა მოახდინოს „ონლაინ“ განვადებით შეძენილი ნივთის მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე მიწოდება და/ან ადგილზე ვიზიტის შემთხვევაში, საკუთრებაში გადაცემა (კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით). გარდა წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ფორმ(ებ)ისა, მხარეები ნებისმიერ დროს შესაძლოა შეთანხმდნენ (წერილობით და/ან დისტანციური/ელექტრონული ფორმით) ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მეორე მხარისთვის მიწოდების განსხვავებულ ფორმაზე;
- 2.9.4 ამ მუხლის 2.9 პუნქტში მოცემული დებულებები წარმოადგენს განვადებით „ონლაინ“ სარგებლობისთვის განსაზღვრულ სპეციფიკურ პირობებს/დებულებებს. განვადებით „ონლაინ“ სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სხვა პირობა ბანკსა და კომპანიას შორის რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით. განვადებით „ონლაინ“ სარგებლობისას, 2.9 პუნქტსა და ხელშეკრულების პირობებს/დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება 2.9 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს / დებულებებს.
- 2.10 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მოახდენს საბანკო მომსახურების სპეციალური პირობების შეთავაზებას კომპანიისათვის და კომპანიის მომხმარებლ(ებ)ისათვის, რაც გულისხმობს

კონკრეტული პერიოდის განმავლობაში კომპანიის ნივთის/მომსახურების შეძენის სურვილის მქონე მომხმარებელ(ებ)ის დაკრედიტებას (საბანკო კრედიტის შეთავაზებას) განსაკუთრებული პირობებით, კომპანია ვალდებულია ინდივიდუალური საბანკო პროდუქტის (საბანკო კრედიტის) შექმნისთვის/მიწოდებისთვის გადაუხადოს ბანკს საკომისიო. ბანკის კუთვნილი საკომისიოს მიღება მოხდება შემდეგი წესით: მას შემდეგ, რაც ბანკი კომპანიის ანგარიშზე გადარიცხავს მომხმარებლის მიერ შეძენილი ნივთის/მომსახურების კომპანიის მიერ გამოწერილ პროფორმა ინვოისში მითითებულ მთლიან თანხას ან ინვოისში მითითებულ თანხასა და მომხმარებლის მიერ გადახდილ პირველად შენატანს (თანამონაწილეობის თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის სხვაობას, ბანკი კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან მოახდენს კუთვნილი საკომისიოს დაკავებას კომპანიის დამატებითი თანხმობის გარეშე. ამასთან, საკომისიოს დაკავება მოხდება ინვოისში მითითებული მთლიანი თანხიდან.

2.11 განსაკუთრებული პირობებით მომსახურების შემთხვევაში, 2.10 პუნქტით გათვალისწინებულ კონკრეტულ პერიოდს და საკომისიოს ოდენობას მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთშეთანხმებით, ამ ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად (წერილობით და/ან დისტანციური/ელექტრონული ფორმით). განსაკუთრებული პირობებით მომსახურება ძალაში შევა მხარეთა მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების ხელმოწერიდან / დისტანციური/ელექტრონული არხ(ებ)ით დადასტურების მომენტიდან და იმოქმედებს შეთანხმებით განსაზღვრული ვადით. ამასთან, შეთანხმების ვადა ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად იმავე ვადით და პირობებით, თუ განსაკუთრებული პირობებით მომსახურებისთვის წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებით განსაზღვრულ კონკრეტულ პერიოდში რომელიმე მხარე არ გამოთქვამს სურვილს მისი შეწყვეტის შესახებ.

### **მუხლი 3. თანამშრომლობის დამატებითი პირობები**

3.1 კომპანია ვალდებულია:

- 3.1.1 მომხმარებელს გააცნოს ინფორმაცია საბანკო კრედიტის (განვადების) გამოყენებით ნივთის/მომსახურების შეძენის შესაძლებლობის შესახებ და ამ მიზნით თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის კომპანიის ვებგვერდ(ებ)ზე) განათავსოს ბანკის სარეკლამო-საინფორმაციო მასალები და საჭიროების შემთხვევაში, განუმარტოს მომხმარებელს ნივთის/მომსახურების შეძენის პირობები. კომპანია ვალდებულია, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსებამდე/გამოყენებამდე, წინასწარ მოახდინოს ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის სარეკლამო მასალის) ბანკთან შეთანხმება და მხოლოდ ამის შემდგომ განახორციელოს მათი გამოყენება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიზნ(ებ)ისთვის. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლის მიერ მომხმარებლისთვის სხვა ბანკის მომსახურების შეთავაზებისას, კომპანია ამავდროულად ვალდებულია, მომხმარებელს აუცილებლად გააცნოს ბანკის ინფორმაცია განვადებით სარგებლობის / განვადების პირობების შესახებ;
- 3.1.2 მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის წარმომადგენლებისა და/ან ბანკის უახლოესი სერვისცენტრების შესახებ;
- 3.1.3 მომხმარებელს განუმარტოს საბანკო კრედიტით (განვადებით) სარგებლობის წესი, საბანკო კრედიტით (განვადებით) ნივთის/მომსახურების შეძენის პირობები, მათ შორის, ნივთის/მომსახურების ფასებს შორის სხვაობა ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენისა და საბანკო კრედიტით (განვადებით) შეძენის შემთხვევაში;
- 3.1.4 ყველა დასაბრუნებელი (მომხმარებლის მიერ დაწუნებული) ნივთის/მომსახურების თანხა მომხმარებელს ჩაურიცხოს მხოლოდ ბანკში გახსნილ ანგარიშზე. ამასთან, კომპანია აცნობიერებს და ეთანხმება, რომ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია ბანკს გადაუხადოს ჯარიმა/პირგასამტეხლო ნივთის/მომსახურების ღირებულებისა თანამონაწილეობის თანხის სხვაობის ოდენობით, ხოლო თანამონაწილეობის არ არსებობის შემთხვევაში - ნივთის/მომსახურების სრული ღირებულების ოდენობით;
- 3.1.5 მომხმარებელს მიაწოდოს/გაუწიოს მხოლოდ ხარისხიანი და ნივთობრივად უნაკლო ნივთი/მომსახურება;

- 3.1.6 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მომხმარებლის პრეტენზიებისა და მასთან სადავო საკითხების შესახებ (ნივთის/მომსახურების ხარისხი, ფასდაკლება და სხვა), რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს ხელშეკრულების შესრულებაზე ან მხარეთა ვალდებულებებზე (მათ შორის, მხარის მიერ მომხმარებლის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებზე);
- 3.1.7 ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს საბანკო ანგარიშები ბანკში;
- 3.1.8 არ დაუშვას კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, კომპანია ვალდებულია, ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე, არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია ნებისმიერ პირს, გარდა მისი იმ თანამშრომლებისა, რომლებიც უშუალოდ საჭიროებენ ხსენებულ ინფორმაციას ხელშეკრულებით მოწესრიგებული ურთიერთობის ფარგლებში, კომპანიის მიერ მომსახურების ჯეროვნად შესრულებისა და გაწვევისათვის. კომპანიის თანამშრომლებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გაცხადება დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათ მიერ მოვალეობების შესასრულებლად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თითოეული მათგანი წინასწარ გაცნობილია ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით;
- 3.1.9 უზრუნველყოს კომპანიის თანამშრომლების მიერ კონფიდენციალურობის მოთხოვნების განუხრელი დაცვა. კომპანია სრულად აგებს პასუხს ბანკის წინაშე კომპანიის თანამშრომელთა მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებაზე ან გახმაურებაზე;
- 3.1.10 ბანკს შეატყობინოს საგარანტიო ვადის (კომპანიის მიერ დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაშიც კომპანია ვალდებულია აღმოფხვრას შეძენილი ნივთის/გაწეული მომსახურების ხარვეზები და/ან შეცვალოს წუნდებული ნივთი იგივე მახასიათებლის მქონე ნივთით) განმავლობაში მიღებული მომხმარებლის ნებისმიერი პრეტენზიის შესახებ;
- 3.1.11 გადაუხადოს ბანკს საკომისიო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით;
- 3.1.12 იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ მომხმარებლის საბანკო კრედიტით (სესხით) დაფინანსების (კომპანიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის) შემდგომ მომხმარებელი კომპანიას უარს განუცხადებს ნივთის/მომსახურების მიღებაზე და/ან კომპანია ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის ნივთის მიწოდებას/გადაცემას და/ან მომსახურების გაწევას, მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია (ინტერნეტ-ბანკით) საბანკო კრედიტის გაცემიდან 25 (ოცდახუთი) დღის ვადაში;
- 3.1.13 უზრუნველყოს განვადების პროცესის წარმართვისთვის განკუთვნილი ტექნიკური მოწყობილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართული ფუნქციონირება;
- 3.1.14 შეზღუდოს / არ დაუშვას განვადების პროცესის წარმართვისთვის განკუთვნილ ტექნიკურ მოწყობილობასთან იმ პირ(ებ)ის / თანამშრომლ(ებ)ის წვდომა, რომელიც არ მონაწილეობს განვადების პროცესში;
- 3.1.15 კომპანიას მკაცრად ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად, ბანკის თანამშრომლებთან/ კონტრაქტორებთან დაკავშირება ბანკისგან დამოუკიდებლად, დასაქმების ან რაიმე ტიპის მომსახურების გაწვევის შეთავაზების მიზნით. კომპანია ადასტურებს, რომ არ მოითხოვს, არ წაიყვანს ბანკის თანამშრომლებს, არ დაასაქმებს და არც შესთავაზებს დასაქმებას. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და აგრეთვე, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 1 წლის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება გაუხადოს ბანკს ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, ბანკის მოთხოვნისთანავე.

3.2 ბანკი უფლებამოსილია:

- 3.2.1 ყოველ კონკრეტულ მომხმარებელზე ნივთის/მომსახურების შეძენის მიზნით საბანკო კრედიტის გაცემის საკითხი გადაწყვიტოს თავისი შეხედულებისამებრ, ბანკში მოქმედი წესების შესაბამისად;
- 3.2.2 არ დააკმაყოფილოს მომხმარებლის განაცხადი (მოთხოვნა) საკრედიტო ნივთის მიღების შესახებ უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების/დასაბუთების გარეშე;

- 3.2.3 კომპანიის ანგარიშებიდან უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის გარეშე) ჩამოწეროს ხელშეკრულების 3.1.4, 4.2 და 4.3 პუნქტებით განსაზღვრული თანხები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ასევე 3.1.12 პუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას კომპანიისთვის გადარიცხული თანხები;
- 3.2.4 მოსთხოვოს კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
- 3.2.5 უაქცეპტო წესით ჩამოწეროს და/ან დაქვითოს კომპანიის მიერ ბანკისათვის ხელშეკრულებით/შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის გადასახდელი (მათ შორის განვადების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) კომპანიის ნებისმიერი ანგარიშიდან.

**მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა**

- 4.1 კომპანიის მიერ გამოწერილ ინვოისში 2.1 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევაზე და დაუყოვნებლივ მოსთხოვოს კომპანიას აღნიშნული ინფორმაციის მითითება.
- 4.2 თუ მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად და/ან რაიმე სხვა მიზეზით მოხდება ნივთის/მომსახურების ღირებულების თანხის შემცირება, კომპანია ვალდებულია დაუყოვნებლივ ჩარიცხოს ბანკში გახსნილ მომხმარებლის ანგარიშზე სხვაობა მომხმარებლის მიერ კრედიტის/სესხის საშუალებით გადახდილ და/ან ბანკის მიერ გადარიცხულ თავდაპირველ თანხასა და შემცირებულ ღირებულებას შორის. ამასთან, კომპანია ვალდებულია ბანკს ამგვარ ჩარიცხვამდე 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს ჩარიცხვის განხორციელების შესახებ.
- 4.3 თუ მომხმარებლის მოთხოვნის შედეგად და/ან რაიმე სხვა მიზეზით, მომხმარებელი თავისუფლდება კომპანიისათვის თანხის (ნივთის/მომსახურების ღირებულების) გადახდის ვალდებულებისაგან, კომპანია ვალდებულია, დაუყოვნებლივ ჩარიცხოს ბანკში გახსნილ მომხმარებლის ანგარიშზე ნივთისთვის/მომსახურებისთვის მიღებული საზღაური იმ ოდენობით, რაც დაფინანსებულია ბანკის მიერ. ამასთან, კომპანია ვალდებულია ბანკს ამგვარ ჩარიცხვამდე 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს ჩარიცხვის განხორციელების შესახებ.
- 4.4 ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი პირგასამტეხლოს და/ან ჯარიმის მეორე (დამრღვევი) მხარისათვის დაკისრება წარმოადგენს შესაბამისი (არადამრღვევი) მხარის უფლებას და არა ვალდებულებას.
- 4.5 ბანკი პასუხს არ აგებს განაცხადით/ხელშეკრულებით განსაზღვრულ კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების/გარიგების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 4.6 ბანკი პასუხს არ აგებს განაცხადით/ხელშეკრულებით განსაზღვრული კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების/გარიგების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

**მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

- 5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის განაცხადის ხელმოწერის ან ელექტრონული (განაცხადში მითითებული კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან) ფორმით / დისტანციური არხ(ებ)ით დადასტურების მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
- 5.2 ბანკს უფლება აქვს ხელშეკრულებაში და/ან ნებისმიერ დანართში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან ნებისმიერი განაცხადით/შეთანხმებით ცვლილებები/დამატებები შეიტანოს, ცვლილების/დამატებების განხორციელებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე ბანკის ვებგვერდზე <https://www.tcbank.ge/web/ka/general-agreement-installments> შესაბამისი ინფორმაციის განთავსების ან კომპანიისთვის შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ამ პუნქტში აღწერილ შემთხვევაში, კომპანიას უფლება ექნება ბანკის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებიდან ან ბანკის შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლამდე, ნებისმიერ დროს შეასრულოს ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებები / გადაუხადოს ბანკს შესაბამისი მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და/ან სხვა სახის გადასახდელი (არსებობის შემთხვევაში) და

შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება (მოსთხოვოს ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტა). ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კომპანიის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ ისარგებლებს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩათვლება კომპანიის მიერ მიღებულად.

- 5.3 ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 5.4 ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება კომპანიისთვის წერილობით ან ელექტრონული (განაცხადში მითითებული კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე) ფორმით / დისტანციური არხ(ებ)ით გაგზავნილი შეტყობინების გზით, ხოლო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში - დაუყოვნებლივ, შეტყობინების გარეშე.
- 5.5 კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა, მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობით გაგზავნილი შეტყობინების გზით. ამ შემთხვევაში, კომპანია ვალდებული იქნება შეტყობინების ბანკისთვის გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და/ან სხვა სახის გადასახდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 5.6 ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს მის შეწყვეტამდე წარმოქმნილი ვალდებულებებისაგან.

#### **მუხლი 6. დავების გადაწყვეტა**

- 6.1 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე.

#### **მუხლი 7. შეტყობინებები**

- 7.1 მხარეებს შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია კომპანიისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, მობაილ-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის ან ბანკის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით.
- 7.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, ბანკი გამოიყენებს ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართს: [salesoutdoor@tbcbank.com.ge](mailto:salesoutdoor@tbcbank.com.ge), ხოლო კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ი მითითებულია განაცხადში. მხარეები თანხმდებიან, რომ განაცხადში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება კომპანიისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.
- 7.3 შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:
  - 7.3.1 კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს;
  - 7.3.2 ელექტრონული ფოსტის (რომელიც მითითებულია განაცხადში / ამ ხელშეკრულებაში), მოკლე ტექსტური შეტყობინების და/ან სხვა ელექტრონული საშუალებით (გარდა მობაილ-ბანკის და ინტერნეტ-ბანკისა) გაგზავნის შემთხვევაში – ადრესატის მიერ შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან;

7.3.3 ელექტრონული ფოსტის(რომელიც მითითებულია განაცხადში / ამ ხელშეკრულებაში), მობაილ-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის და/ან ბანკის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღეს, თუკი სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული კომუნიკაციის ამგვარი საშუალებების გამოყენებაზე ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურებით.

7.4 შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნის მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას.

7.5 მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით), მათ შორის ხელშეკრულების 7.2. პუნქტში და განაცხადში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ზე. მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)ის) ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ (მათ შორის ელექტრონული ფოსტის) მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად ჩაბარებულად.

## **მუხლი 8. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა**

8.1 კომპანია აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

8.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, მასზე გადაცემულ პერსონალურ მონაცემებს დამუშავებს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.1.2 პერსონალურ მონაცემთა არაავტორიზებული დამუშავების (მათ შორის შემთხვევითი ან უნებართვო გავრცელება, წვდომა, შეცვლა და განადგურება) აღსაკვეთად გაატარებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს პერსონალურ მონაცემთა ბუნებისა და პერსონალურ მონაცემთა სუბიექტებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით;

8.1.3 შეზღუდავს პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლების მქონე პირთა წრეს და ასეთ უფლებას მიანიჭებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ საჭიროებენ მონაცემებზე წვდომას და რომელთაც გააზრებული აქვთ მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება;

8.1.4 პერსონალურ მონაცემებზე შემთხვევითი ან უნებართვო წვდომის, ასეთი მონაცემების განადგურების, დაკარგვის, შეცვლის ან გასაჯაროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს ასეთი შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღისა, შეატყობინებს ბანკს შემთხვევის შესახებ ინციდენტის ბუნებისა და გამჟღავნებული/განადგურებული/შეცვლილი პერსონალური მონაცემების მითითებით;

8.1.5 დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს ინციდენტზე დროული რეაგირებისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისთვის და გატარებული ზომების შესახებ აცნობებს ბანკს;

8.1.6 ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე მესამე პირს არ გადასცემს ხელშეკრულების ფარგლებში ბანკისგან მიღებულ პერსონალურ მონაცემებს. ასეთი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში, მონაცემთა მიმღებ მესამე პირზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნები;

8.1.7 მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში და ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის შესაბამისად პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართავს ქვე-კონტრაქტორებს, რომლებზეც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული პირობები. მონაცემთა დამუშავების პროცესში ქვე-კონტრაქტორის ჩართვა არ ათავისუფლებს მას ნაკისრი ვალდებულებებისაგან და არ ზღუდავს მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს ასეთი ვალდებულებების დარღვევისას დამდგარ ზიანთან მიმართებაში;

8.1.8 წინამდებარე პოლიტიკის 8.1.7 პუნქტით განსაზღვრული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ბანკს შეატყობინოს ხელშეკრულების ხელმოწერის დროისთვის დაქირავებული ქვე-კონტრაქტორების ვინაობა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება განახორციელოს მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით. ბანკი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს ხელშემკვრელი მხარის მიერ წამოყენებული ქვე-კონტრაქტორის კანდიდატურას. იმ

შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების გარეშე ვადადმდე შეწყვიტოს მხარესთან დადებული ხელშეკრულების მოქმედება;

8.1.9 ბანკის მიერ პოლიტიკის 8.1.8 მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში დაუბრუნოს ბანკს და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშლოს/გაანადგუროს მისთვის გადაცემული პერსონალური მონაცემები და მათი ასლები. ბანკი უფლებამოსილია, მხარეს მოსთხოვოს მონაცემთა წაშლის დადასტურება. წინამდებარე მუხლი არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომლის შენახვის ვალდებულებას მხარეს მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს;

8.1.10 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალაში რჩება მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შემდეგ იმ ვადით, რა ვადითაც მხარე ინარჩუნებს წვდომას ხელშემკვრელი მხარის მიერ მისთვის გადაცემულ პერსონალურ მონაცემებზე. წინამდებარე მუხლი არ უნდა იქნას მიჩნეული კომპანიის უფლებად, შეინარჩუნოს წვდომა ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ პერსონალურ მონაცემებზე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ. კომპანია ვალდებულია, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა დააბრუნოს და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშლოს/გაანადგუროს მისთვის ბანკის მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემები და მათი ასლები.

8.2 ბანკი უფლებამოსილია, გონივრული ეჭვის არსებობისას, შეამოწმოს ხელშემკვრელი მხარისთვის ბანკის მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში გამოყენებული საშუალებებისა და სისტემების გამართულობა; ასევე, მათი ტექნიკური და ორგანიზაციული მახასიათებლების შესაბამისობა წინამდებარე პოლიტიკით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

8.3 ზემოაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ბანკისთვის წარდგენა.

8.4 ბანკი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერ ზიანსა და ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია ხელშემკვრელი მხარის მიერ წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულების განზრახვი ან გაუფრთხილებელი დარღვევით.

8.5 მონაცემების დამმუშავებელი მხარე ვალდებულია სრულად დაიცვას 8.6 პუნქტში მითითებული ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურის მოთხოვნები.

8.6 ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურის მოთხოვნები:

8.6.1 ხელშემკვრელი მხარის გარემო რომელშიც დროებით ან მუდმივად ხვდება ბანკის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემები საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს შემდეგი:

- პერსონალური მონაცემების შესანახად და დასამუშავებლად უნდა არსებობდეს იზოლირებული გარემო, რომელიც ძირითადი ინფრასტრუქტურისგან იქნება გამოყოფილი დამოუკიდებელი Firewall ით;
- გარემოს Firewall-ზე წვდომების დაშვება უნდა კონტროლდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ;
- იზოლირებულ გარემოში მოთავსებულ ინფორმაციასთან წვდომა უნდა ხორციელდებოდეს ს.წ. ტერმინალ სერვერების (Jump Server) საშუალებით;
- უნდა კონტროლდებოდეს და ხორციელდებოდეს გარემოს მთლიანობის/წვდომადობის მონიტორინგი;
- გარემოში მოთავსებული სერვერებზე უნდა ხორციელდებოდეს განახლებების მონიტორინგი;
- სადაც შესაძლებელია პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს დაშიფრული სახით ძლიერი შიფრაციის ალგორითმების გამოყენებით;
- იზოლირებულ გარემოსთან წვდომა უნდა ხორციელდებოდეს დაცული მეთოდით, დაშიფრული კომუნიკაციით და უსაფრთხო პროტოკოლის გამოყენებით;
- იზოლირებული გარემოსთვის უნდა არსებობდეს პაროლების პოლიტიკა რომელიც განსაზღვრავს პაროლის სირთულეს, ცვლილების დროს და ისტორიას;



- იზოლირებულ გარემოს სერვერებზე ადმინ მომხმარებლების პაროლები უნდა იყოს დანაწევრებული მინიმუმ ორ ნაწილად და უნდა ინახებოდეს სხვადასხვა მფლობელთან, უსაფრთხო მეთოდის გამოყენებით;
- გარემოზე წვდომის დაშვებისას უნდა ხორციელდებოდეს მომხმარებლის ორ ნაბიჯიანი ავთენტიფიკაცია (ე.წ. Two Step Authentication);
- იზოლირებული გარემო არ უნდა იყოს ინტერნეტიდან წვდომადი;
- იზოლირებულ გარემოს სერვერებზე უნდა ხორციელდებოდეს ლოგირება, ლოგი უნდა ინახებოდეს ცენტრალიზებულად და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი გამოყენება ინციდენტის ან ხარვეზის გამოკვლევის პროცესში;
- პერსონალური მონაცემების შესანახად დასამუშავებლად ან გადასაცემად არ უნდა გამოიყენებოდეს ღრუბლოვანი გარემო (Remote storage, Cloud Service);
- დეველოპმენტის ან ტესტირების ფარგლებში პერსონალური მონაცემების გამოყენებისას უნდა ხდებოდეს ინფორმაციის დამახინჯება ისეთი სახით რომ ვერ ხდებოდეს პიროვნების პირდაპირი ან ირიბი იდენტიფიცირება;
- ხანდაზმულობით ან სპეციალური მოთხოვნით ინფორმაციის განადგურებისას გამოყენებულ უნდა იქნას შრედერი ან ცეცხლი. განადგურების პროცესს უნდა ესწრებოდეს წინასწარ განსაზღვრული ბანკის წარმომადგენელი.

## **მუხლი 9. მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა**

### **9.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:**

- 9.1.1 თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს;
- 9.1.2 მხარეები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები: მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს საჩუქრის, მასპინძლობის, ჯილდოების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას, მიღებას, მიწოდებას, გაცემას ან მოთხოვნას (პირდაპირ ან ირიბად, რათა შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, კონტრაქტული, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა და/ან წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება რომელიც არის უკანონო და არაეთიკური;
- 9.1.3 არცერთ მხარეს ან მათთან დაკავშირებულ პირს:
- 9.1.3.1 ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან ირიბად არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო და/ან დაფარული საკომისიო, ქრთამი, და/ან ანაზღაურება;
- 9.1.3.2 შეთანხმების/ხელშეკრულების დასადავად არ განუხორციელებია ისეთი ქმედება, რომლის მიზანია, მათ შორის, ფასების ხელოვნური რეგულირება და/ან არაკონკურენტული გარემოს შექმნა და/ან ერთ-ერთი მხარის უმაღლესი მენეჯმენტის წევრის უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის და/ან მისი დაკავშირებული საწარმოს ქმედებებზე ზეგავლენა და/ან რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ და/ან ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების და/ან სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში;
- 9.1.4 არცერთი მხარე არ წარმოადგენს საჯარო პირს და არ მოქმედებს საჯარო პირის სახელით. ამასთან, ორივე მხარე იღებს ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს წინამდებარე პირობის ცვლილების შემთხვევაში;
- 9.1.5 თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ და/ან ბრალდებული კორუფციის/მექრთამეობის კუთხით;
- 9.1.6 ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის და/ან მისი უმაღლესი მენეჯმენტის

წევრის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის და/ან დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთან, მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტის უფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის და/ან დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით;

9.1.7 აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების და/ან აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

9.1.8 ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს და/ან გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვერელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

## **მუხლი 10. გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა**

10.1 მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

10.1.1 თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევენ მუდმივ კონტროლს;

10.1.2 მხარეები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები: მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით;

10.1.3 თითოეული მათგანი, ასევე მათთან დაკავშირებული პირები, არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ და/ან ბრალდებული კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშემწყობის კუთხით;

10.1.4 ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამოირიცხავს დამრღვევი მხარის და/ან მისი უმაღლესი მენეჯმენტის წევრის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის და/ან დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთან, მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტის, უფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის და/ან დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით;

10.1.5 აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების და/ან აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა;

10.1.6 ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს და/ან გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან

დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვერელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

### **მუხლი 11. სანქცირებულ პირთა შესახებ დათქმა**

11.1 კომპანია ადასტურებს, რომ:

- 11.1.1. კომპანია, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრე(ები) ან/და მათთან აფილირებული პირები ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:
  - 11.1.1.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოს (OFAC), სახელმწიფო დეპარტამენტის, ვაჭრობის სამინისტროს ან/და საქართველოს (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), მათ შორის ტერორიზმის მხარდაჭერისთვის ან/და სხვა ნებისმიერი ქმედებისთვის რასაც დროდადრო განსაზღვრავენ უფლებამოსილი პირ(ებ)ი;
  - 11.1.1.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება ემბარგო;
  - 11.1.1.3. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელზეც ვრცელდება ემბარგო;
  - 11.1.1.4. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დააფინანსებენ ან/და არ გადასცემენ ნებისმიერი სახის აქტივს/ქონებას ნებისმიერ პირს ან/და გაერთიანებას, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება ემბარგო.

11.2 წინამდებარე პირობის/მუხლის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

### **მუხლი 12. ფორს-მაჟორი**

- 12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების შედეგთან.
- 12.2 წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
- 12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება (წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით) ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს (წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით), იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე არ განახორციელებს მეორე მხარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას, არ თავისუფლდება საჯარიმო სანქციების გადახდის ვალდებულებისგან.

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, მხარისთვის შეტყობინებით.

### **მუხლი 13. დასკვნითი დებულებები**

13.1 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

13.2 ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების და/ან მოქმედი კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების და/ან მოქმედი კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

13.3 ხელშეკრულების მუხლები, პუნქტები და/ან ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მითითების მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს მათი ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

13.4 ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მხარეთა ვალდებულებები ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლების და სამართალმემკვიდრეებისათვის.

13.5 კომპანიას უფლება არ აქვს, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირ(ებ)ს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

13.6 ბანკს უფლება აქვს, კომპანიის თანხმობის გარეშე, მესამე პირ(ებ)ს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებით შეძენილი ნებისმიერი უფლება და/ან ვალდებულება.

13.7 იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით და/ან დამატებით შეთანხმებული პირობებით.

13.8 თუ ხელშეკრულებას აქვს/ექნება დანართ(ებ)ი, ხელშეკრულების პირობებსა და დანართის პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დანართით განსაზღვრულ პირობებს. ამასთან, ყველა დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და მათზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი შესაძლოა დადებულ იქნას ბეჭდური ფორმით ან დადასტურდეს ელექტრონულად (მათ შორის ხელშეკრულების 7.2 პუნქტში / განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართ(ებ)იდან) / დისტანციური არხ(ებ)ით.